№ 215 ოქტომბერი 14, პარასკევი 1888 ოქტომბერი 14, პარასკევი № 215


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებასაც დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, ხილდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



სასტუმრო

## პურ-ღვინო

გაიმართა

გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლებში, სადაც აქამდე ეჭირა დიდ-ზურაბოვს. როგორც ბუფეტი, აგრეთვე ოთახები სრულებით ახლად არის გალამაზებული და გადაკეთებული. ევროპიულ საჭმელებს გარდა „პურ-ღვინოში" მსურველი იშოვნის ყოველ გვარ კავკასიურ საჭმელებს, ქართლურს, იმერულს, გურულსა და სხვას, ნამდვილს ადგილობრივს გემოვნებაზედ მომზადებულს. კავკასიურ საჭმელების მოსამზადებლად განგებ მოწვეული გვყავს ადგილობრივი მზარეულები. ფასები ყველაფრისა ზომიერია.

(4—3) ი. მამანაიშვილი და ა. თოიძე.



ქართული თეატრი

პარასკევს, 14 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## პეპო

კომ 3 მოქმედ., გ. სუნდუკიანცისა.

II

დატრიალდა ჯარა

ვოდ. 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გამყრელიძე, აწყურელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.


„ივერიის" დეპეშა

12 ოქტომბერს

ქუთაისი. დღეს ოთხს საათზედ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მობძანდნენ ქუთაისის რკინის გზის ვოგზალზედ. აქ მიეგებნენ თავად-აზნაურთა საპატიო ყარაული, თავად-აზნაურთა მარშლები, დეპუტატები სოფლის საზოგადოებისანი, ქუთაისისა და ფოთის ქალაქის თავნი და მიართვეს თვითეულთა ცალკე პურ-მარილი მშვენიერ ტაბაკებითა. ზოგი აქაურ ხელობის ტაბაკია და ზოგი მოსკოვშია გაკეთებული. ქალაქის თავმა შემდეგი შესხმა მოახსენა:

უმოწყალესო ხელმწიფევ!

არ ძალ-მიძს სრულად გამოვხატო უუქვე შეურყომეს გრძნობათა სიღრმე ქუთაისის მცხოვრებთა, რომელთა სახელით ბედნიერება მაქვს პურ-მარილით მივეგებო თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას. თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისა და თქვენის სუფევ სახლეულობის მისაგებებლად ქუთაისს არ მოუპოვება არც ცეცხლები კასპიისა, არც სიმდიდრე ტფილისისა, არც ლაჟვარდი ბათუმისა; ქუთაისს აქვს მხოლოდ გრძნობა, მვლადგანვე გამთბარი თავგანწირულის ერთგულებით ტახტისადმი, და ეს გრძნობა არ დაიშრიტების ჩვენსა და ჩვენის შთამომავლობის გულში, ვიდრე სცემს ერთი მაინც გული ქართველის კაცისა.

პირველს დარბაზში მიეგებნენ მათ უდიდებულესობათა მეუღლენი გუბერნატორისა, თავად-აზნაურთა მარშლისა და ფოთის ქალაქის თავისა და მიართვეს ყვავილების კონები. ვოგზალიდამ მათნი უდიდებულესობანი წაბძანდნენ საკრებულო ტაძარს. გზაზედ აქეთიქით დიდი ხალხი და ჯარები იდგა და იძახდა „ურა"-ს. ტაძარში იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი მიეგება და შემდეგი სიტყვა მოახსენა:

უკეთილმსახურესო ხელმწიფეო,

საქართველოს არა ერთხელ ჰქონდა ბედნიერება ეხილა გვირგვინოსანნი მეფენი რუსეთისანი, გარნა ეხლანდელი მობრძანება შენი საქართველოში დედოფლითა და უავგუსტოესის ძეებითურთ უმეტესად საბედნიეროა და საგულისხმიერო. იგი მობრძანება მოასწავებს, რომ ამ განაპირა ქვეყანამაც შენის სამპყრობელოსამან, სანგრძლივს ბრძოლასა და ლაშქრობას შემდეგ, დაიმკვიდრა ბოლოს ჟამს ესოდენი მშვიდობა და კეთილდღეობა, რომ შესაძლო შეიქმნა ხელმწიფე იმპერატრიცისა და ძეთა მისისა მობრძანებაცა.

იხარებდეს სული შენი, უკეთილმსახურესო ხელმწიფეო, ხილვასა ზედა ერისა ამის, რომელიც გულწრფელის სიხარულით მოგეგებების, და ქვეყნისა ამის, რომელიც შენთა უთვითმპყრობელესთა წინაპართა მიერ იქმნა თავისუფალ, ბედნიერ და გზასა ზედა მშვიდობიანისა მუშაკობისასა მკვიდრ. მრავალსა ჟამსა არ გაუვლია მას შემდგომ, რაც ქვეყანა ესე, ვითარცა ასსოვთ და გვსმენია მამათა ჩვენთაგან, იყო აკლებულ, მოოხრებულ კიდით-კიდემდე და მორწყულ ძეთა მისთა სისხლითა; აწ-კი, აჰა, განრინებული რუსეთისა ძლიერისა მხედრობითა ქრისტიანობისა მძულვარე მტერთაგან, ქვეყანა იგი, ვითარცა აღდგომილი მკვდრეთით, კვალად აჰყვავდა შენისა და წინაპართა შენთა სათნო გამგეობასა ქვეშე, ხელმწიფეო!

გვახსოვს რა ესე ყოველი, ჩვენ მკვიდრნი ამა ქვეყნისანი უსაზღვროდ ვმადლობთ: პირველად, უფალსა წინაპართა ჩვენთა განმანათლებელსა მართლ-მადიდებლისა სარწმუნოებითა, მერმედ, თვით წინაპართა, რომელთაც, სანგრძლივის ბრძოლისა და წამების შემდგომად, გვიანდერძეს იგი წინდი მართლ-მადიდებლობისა და მით გაგვიადვილეს საუკუნოდ შეკრდომოდით დიდსა მართლ-მადიდებელსა რუსეთის სამპყრობელოსა და თანაზიარ შექმნილიყავით სულიერისა მისსაზრდოისა. დასასრულ, უსაზღვროდ ვმადლობთ შენთა თვით-მპყრობელთა წინაპართა და შენცა, დიდებულო ხელმწიფეო, ყოველ იმ ურვისა, ღვაწლისა და წარსაგებელისათვის, ყოველ იმ სისხლის ღვართათვის, რომელიც რუსეთმა იტვირთა ჩვენდა გამოსახსნელად მტერთა ჩვენთა ხელთაგან. უმეტესად გმადლობთ კიდევ შენ, ხელმწიფეო, რომ არ გვამცრობ აუარებელთა ქვეშევრდომთა შენთა შორის, მობრძანდი ჩვენდა სანახავად, გაგვაცოცხლე, აღგვაფრთოვანე და შეგვაერთე ყველანი ერთისა შენდამი მადლობისა და სიყვარულისა გრძნობითა. ის არის დიდება და სახელი რუსეთის დიდისა და მსოფლიო სამპყრობელოსი, რომ ყველა ქვეშევრდომნი, ტომთა და სარწმუნოებათა განურჩევლად, ერთსა და იმავესა სამართლიანსა და პირუთვნელსა კანონებს ექვემდებარებიან, ერთი და იგივე უფლებანი აქვსთ, მაშინ როდესაც სხვათა განათლებით თავ-მომწონე დიდთა სამპყრობელოთა შინა ხშირად მხოლოდ სიტყვით არიან თანასწორნი ქვეშევრდომნი და პატივისცემა აქვსთ უღმრთოთა და ურწმუნოთა, ხოლო მართმადიდებელთ ხშირად არა აქვთ შეწყნარებაცა ოდენ. მხოლოდ ღვთით დაფარული და ბრძენთა თვისთა მეთაურთა მიერ ხელ-ძღვანილი რუსეთი ისწრაფვის სახელმწიფოსა გამგეობასა შინაცა განახორციელოს მართალი უფლისა.

ფიქრი იგი, რომ განგებულებასა ღვთისასა განუმზადებიეს გზაი დიდი სამპყრობელოსათვის შენისა, განუგეშებსცა, მეფეო მართ-მადიდებელთაო, სამეფოსა ღვაწლსა და ურვასა შინა შენსა. მრავალჟამიერ ჰყოს სიცოცხლე შენი მეუფემან მეფეთამან და ბედნიერ ჰყოს ბედნიერებითა სახლეულობისა შენითა და მშვიდობიანისა ქვეშევრდომთა შენთა წარმატებითა.

ტაძრიდამ მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის ძეებითურთ წაბძანდნენ წმ. ნინოს სასწავლებელს, საცა სწავლა-განათლების მზრუნველმა წარუდგინა ყველა სასწავლებელთა მოწაფენი და მასწავლებელნი. სასახლის წინ მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ჩერნომორიის პოლკი. სასახლის მოედანზედ მიეგებნენ მოხელენი სამოქალაქო უწყებისანი და თავად-აზნაურობა. თავად-აზნაურთა მარშალი მიეგება და შემდეგი სიტყვა მოახსენა მათ უდიდებულესობათა:

უმოწყალესო ხელმწიფეო!

თავად-აზნაურობა ქუთაისის გუბერნიისა, აღვსილი განუსაზღვრელის მადლობით, რომ თქვენ მას არგუნეთ ბედნიერება გიხილონ თვისს შორის, უსაყვარლესო ხელმწიფეო, უავგუსტოესის სახლობითურთ, მოგიძღვნის თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფერხთა წინაშე თავისს უქვეშევრდომილეს გრძნობათა. დღევანდელი ბრწყინვალე ჟამი მით უფრო შესანიშნავი და ბრწყინვალეა, რომ ჩვენს ქვეყანას ესტუმრა ხელმწიფე იმპერატრიცა, რომელიც ყველგან სთესავს სიხარულსა და ბედნიერებას, ჩვენს ცხოვრებაში დიდებული მოვლენაა და ჩვენს გულში აძლიერებს განუქრობელს ცეცხლს წინაპართა ნაანდერძევის სიყვარულისასა და ერთგულებისას ტახტისადმი, რომელიც ჩვენი უძვირფასესი ნუგეშია.

წვიმიანი დღე იყო და მათთა უდიდებულესობათა მობძანების წინად გამოიდარა. ქალაქი ჩინებულად მორთულია სატრიუმფო კარებით, დროშებითა და ვენზელებით. ქალაქში დღეს ერთი-ორად მეტი ხალხია შეკრებილი.

ტფილისი, 13 ოქტომბერი

ამ სამიოდე თვის განმავლობაში ჩვენ რამდენიმე წერილი ვუძღვენით სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის აწეწილსა და დახლართულს ვითარებას. ჩვენმა კორრესპონდენტებმა უამბეს მკითხველებს, თუ რა ყოფაშია ეს სასწავლებელი, რამდენად ხელს უშლის სასწავლებლის წარმატებას უბინადრობა და „პარტიობა" სამეგრელოს საზოგადოებისა, რომელიც უფრო თავისს პირადს საჭიროებას მისდევს, ვიდრე საერთოს. ამის შესახებ ჩვენ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით და ვამბობდით, რომ ბაასი და სჯა საჭიროა, ხოლო მიუდგომელი და სამართლიანი და არა „პარტიობაო". ჩვენს კორრესპონდენტებს და ჩვენს ნაწერს პასუხი გასცა ბ-ნმა ა. ნატროშველმა, რომელიც უპირატესობას აძლევს დ. ახალ-სენაკს და ჰკიცხავს ჩვენს კორრესპონდენტ-თანამშრომლებს იმიტომ, რომ ვითომ ისინი ხელს უშლიან უიმისოდაც აწეწილს მდგომარეობას სასწავლებლისას. როგორცა სჩანს, ახალ სენაკის მოსარჩლეს არაფრად მოსწონებია ჩვენი და ჩვენის კორრესპონდენტების ნაწერი, რომელიც გამოწვეული იყო იმ სურვილით, რომ საქმე სამართლიანად იქმნას განხილული. თავისს პასუხში ბ-ნი ნატროშველი ზომას გადასცილებია და ჩვენთვის მომაკვდინებელი ცოდვა შეუწამებია. ძალიან ვწუხვართ, თუ ბ-ნს ახალ-სენაკის მოსარჩლეს ვერ შეუგნია, რომ ბაასი, რაკი მიუდგომელი და გულწრფელია, საქმეს ხელს-კი არ შეუშლის, არამედ კიდეც წარუმართავს. ბ-ნის ნატროშველის მიერ არჩეული გზა მეტად საშიშოა, იმიტომ რომ სხვებსაც შეუძლიანთ იგივე საშუალება იხმარონ; მაგალითად, ქალაქს ფოთს, რომელიც სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს ეფოტინება, შეუძლიან სთქვას, რომ ბ-ნი ნატროშველი საქმეს ხელს უშლის, რადგანაც ფოთისთანა მარჯვე ადგილი სასწავლებლისათვის სხვა მთელს სამეგრელოში არ მოიპოვებაო.

ეხლა მოკლედ გავარჩიოთ ბ-ნის ნატროშველის აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად მარჯვე ადგილია სასწავლებლისათვის დ. ახალ-სენაკი.

ჩვენს წერილში ჩვენ, სხვათა შორის, ისიცა ვსთქვით, რომ მარტვილი მდებარეობითა და ჰავით ბევრად სჯობნის ახალ-სენაკსა და ფოთსაო. ამ გარემოებას ბ-ნი ნატროშველი არავითარს ყურადღებას არ ათხოვებს და სამაგიეროდ მოგვითხრობს, რომ ახალ-სენაკის თავად-აზნაურობა უმეტეს ნაწილად ეკუთვნის მცოდნე დასს საზოგადოებისას და ამიტომ კარგს ზნეობითს გავლენას იქონიებს მოსწავლეებზეო. არ ვიცით რა საბუთი აქვს ბ-ნს ნატროშველს, როცა ამას ამბობს, ან როგორ ესმის ბ-ნს ავტორს სიტყვა «ცოდნა» და „გავლენა". ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მხრით მარტვილი სრულიადაც არ ჩამოუვარდება ახალ-სენაკს.

რაც შეეხება სხვა-და-სხვა გასართობს, რომელსაც მასწავლებელნი ჰპოულობენ ახალ-სენაკში, ჩვენი აზრი ის არის, რომ ამისთანა გასართობს სრულიად გაურთველობა სჯობია, რადგანაც კარგად წარმოდგენილი გვაქვს, თუ რა გასართობი აქვსთ მასწავლებელთ ახალ-სენაკში; ეს გასართობი ისეთი უნდა იყოს, რომ რიგიანმა კაცმა ზურგი უნდა შეუბრუნოს.

ერთად-ერთი უპირატესობა, რომელიც ახალ-სენაკსა აქვს, რკინის გზაა და ის შეღავათი, რომელსაც ეს გზა იძლევა, მაგრამ ამ უპირატესობას ხომ ფოთი შეეცილება, რომელსაც რკინის გზაცა აქვს, ზღვაც აკრავს და გასართობიც მეტი აქვს.

ვინ ამბობს, მარტვილიც არ არის ყოველის მხრით მარჯვე ადგილი სასწავლებლისათვის და თუ ჩვენ უპირატესობა ვაკუთვნეთ, მხოლოდ იმისთვის, რომ იმას ისტორიული უპირატესობაცა აქვს და ჰავითა და მდებარეობითაც სჯობნის ახალ-სენაკსა და ფოთს. ამას გარდა მარტვილს ერთი სხვა უპირატესობაცა აქვს. თვითონ ბ-ნი ნატროშველი ბძანებს, რომ მარტვილი „შეადგენს თითქმის განაპირს სამეგრელოსას და სვანეთს ზედ აკრავსო" ეს გარემოება ხომ მარტვილის სასარგებლოა და არა საწინააღმდეგო, რადგანაც თუ მარტვილში იქმნა დაბინავებული სასწავლებელი, მთელს ლეჩხუმის მაზრას მოემარჯვება ყმაწვილების სასწავლებელში მიბარება.

ვურჩევთ ბ-ნს ახალ-სენაკის მოსარჩლეს: ჩვენი წერილები მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ საქმე სამართლიანად გამოკვლეული-ყო და მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვეტილიყო სასწავლებლის ბედი.

ა. ს—ი

# ახალი ამბავი

⁂ მოგვყავს გაზეთ „Новое Обозрѣніе“-დგან სია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საპატიო ყარაულისა (თითო მაზრიდგან ხუთ-ხუთი კაცია).

თავ. ა. დ. წულუკიძე, თავ. გ. ი. წულუკიძე, ვ. კ. ლორთქიფანიძე, ა. გ. ერისთავი, თავ. ი. ა. მიქელაძე, თავ. ა. დ. აბაშიძე, თავ. ნ. ბ. ჩხეიძე, თავ. დ. ს. წერეთელი, ა. ე. მაჭავარიანი, ვ. ა. ქლენტი, ი. ო. გამყრელიძე, თავ. ი. ზ. აბაშიძე, თავ. ს. ზ. აბაშიძე, თავ. ნ. კ. აბაშიძე, თავ. ს. პ. წულუკიძე, თავ. ი. ა. წულუკიძე, თავ. შ. ა. ერისთავი, თავ. ვ. ს. ჯაფარიძე, ს. გ. ჯაფარიძე, გ. შ. ცოცირიძე, თავ. ლ. ი. გურიელი, თავ. ა. გ. მაჭუტაძე, თავ. ჯ. ს. ერისთავი, კ. გ. ქორდანია, ს. ა. ქარცივაძე, თავ. გ. მ. დადიანი, თავ. მ. გ. მიქელაძე, თავ. ნ. ი. ფალავა, თავ. ნ. ი. მხეიძე, თავ. რ. ლ. ჩიქოვანი, ი. ლ. თოფურია, თავ. გ. კ. დადიანი, თავ. ნ. პ. დადიანი, თავ. დ. მ. ჩიჩუა, თავ. ო. ლ. აფაქიძე, ი. ტ. ლოლუა, ჩ. ა. ანთელავა, თავ. გ. ნ. დადიანი, თავ. ს. კ. ახველედიანი, თავ. რ. ლ. ჩიქოვანი, თავ. ა. თ. გელოვანი, თავ. დ. ვ. ჩიქოვანი, კ. გ. ასათიანი, თავ. ა. ტ. დადეშქელიანი.

საპატიო ყარაულის უფროსია როტმისტრი თავ. გვადა პ. მიქელაძე; იმისი თანაშემწე—თავ. კ. ზ. ჩიქოვანი.

⁂ კვირას, 9 ამ თთვეისას, სოფელს ხელთუბანში აკურთხეს ახალი შენობა სკოლისა, რომელსაც განაგებს „წერა-კითხვის საზოგადოება“. კურთხევაზე დაესწრნენ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მხრივ წევრნი გამგეობისა ბ-ნი გ. იოსელიანი და კნ. ან. თუმანიშვილისა, რომელიც ამასთანავე მზრუნველია სკოლისა. კნ. ან. თუმანიშვილისას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში, ამისის მხნეობით და თაოსნობით აშენდა ეს სკოლა.

კურთხევაზე დაესწრნენ აგრეთვე რამდენიმე პატივცემული კაცი, რამდენიმე მასწავლებელი გორიდამ და ხელთუბნელი გლეხ-კაცობა, უფრო მომეტებულად დედაკაცები და ყმაწვილები. მღვდელმა კურთხევის შემდეგ შესაფერი სიტყვა სთქვა.

სკოლის შენობას კარგი და დიდი ადგილი უჭირავს სოფლის ცოტა განაპირებით, იმ გზის პირას, რომელიც გორიდამ მეჯვრისხევში მიდის. შენობა სულ ოთხის ოთახისა და ერთის სამზარეულოსაგან შესდგება. ერთი დიდი ოთახი საკლასოა, ორი პატარა მასწავლებლის სადგომი და ერთიც კარგად მოზდილი შორის სოფლებიდამ მოსიარულე ყმაწვილების თავ-შესაფარად არის დანიშნული. ამ „თავ-შესაფარს“ აქვს ბუხარი, ტახტები ექნება გამართული და ეყოლება ვინმე მიჩენილი თვალ-ყურის სადევნებლად. თუ ყმაწვილები ძალიან შორიდგან არიან მოსულნი და, სწავლის გათავების შემდეგ, ეძნელებათ შინ დაბრუნება, მეტადრე ზამთრობით, შეუძლიანთ ამ „თავ-შესაფარში“ დარჩნენ, თუნდ მთელის კვირაობით, ოღონდ-კი თავიანთი საგძალი ან თითონ იქონიონ თან, ან მშობლებმა როგორმე მოაწოდონ ხოლმე. მაინც ეს „თავ-შესაფარი“ პირველი ცდა არის და ვნახოთ გამოცდილება რას გვიჩვენებს.

⁂ ამ ჟამად ტფილისს რაჭველ ხაბაზების დუქნებში ხშირად ჰნახავთ 7—8 წლის ყმაწვილებს, რომლებიც ახლად ჩამოუყვანიათ მოსამსახურედ დასაყენებლად. ეს ახალი ამბავი არ არის; ყოველთვის ამ დროს, ღვინობისთვეში, ჩვეულებად აქვსთ რაჭველებს ყმაწვილების ჩამოყვანა და სახლებში მოსამსახურედ მიბარება. შესანიშნავი ამ ძველს ამბავში ის არის, რომ ყმაწვილს შინ არა სტოვებენ თორმეტ წლამდე მაინც, რომ ღონე შეემატოს, სულითა და ხორცით ცოტათი მაინც ძალა მიეცეს, რომ შინაურს სამსახურსა, ქალაქის უწმინდურს ჰაერსა და მოსამსახურეთა გარყვნილობას შეუმაგრდეს. რა საცოდაობაა შვიდ-რვა წლის ყმაწვილის ყოფა, რა ღონე უნდა შეიკრიფოს მოსამსახურობაში და ბოლოს როგორ უნდა გამოადგეს თავისს მშობელ-ნათესავებსა, იმას არა ჰფიქრობს რაჭველი. პირველს წლებში ორიოდ თუმანს მიშოვის ბიჭუნიაო, და არ დასდევს საბოლოოდ რა გამოვა იმ ჩვილის ყმაწვილისაგან ან თავისთვის და ან ოჯახობისათვის. სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ბალღების ჩამოყვანა მარტო რაჭველებსა სჭირთ. იმერლობა და მეგრელობა 14—15 წლამდე ადრე ყმაწვილებს არა ჰგზავნიან ტფილისში მოსამსახურედ. რასაკვირველია, რაჭველებს სიღარიბე ძალას ატანს, მაგრამ ეს უფრო ჩვეულების შედეგი უნდა იყოს. ამიტომ სასურველია რაჭაში შვილებზე ასე ადრე ხელს არ იღებდნენ მშობლები და ქალაქის ათასს გვარს განსაცდელში არ აგდებდნენ უსუსურს ბალღებს.

⁂ რათა სამრევლო სკოლები რიგისა და წესისამებრ მოწყობილ და გამართულ იქმნას, უწმინდესს სინოდს დაუვალებია ეპისკოპოსები, რომ ყოველს წელიწადს მიჰმართონ თავიანთს ეპარქიებში მონასტერთა წინამძღოლთ და კრებულთ და სთხოვონ შეძლებისამებრ ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინონ სამრევლო სკოლებს („Новости“).

⁂ იმავე გაზეთში ვკითხულობთ: ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებმა მცოდნე კაცები გაგზავნეს თერგის მაზრაში იმის შესატყობლად, თუ რამდენად მარჯვე ადგილია ეს მაზრა მევენახეობისათვის. ამ მცოდნე კაცების აზრით, თერგის მაზრის დიდ-ძალს ადგილებში შესაძლოა მევენახეობა გავრცელდეს და გაძლიერდეს. ამიტომ სამხედრო და ფინანსთა სამინისტროთა გადაუწყვეტიათ, რომ ყოველ გვარი ღონე იხმარონ და თერგის მაზრის სტანიცებში მევენახეობა გაავრცელონ. ამ საგნისათვის დადგენილია შეადგინონ განსაკუთრებული თანხა. ფინანსთა მინისტრს წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის თავისი აზრი, რომ ხაზინამ 37,000 მანეთი გამოიღოს ფონდის შესადგენადაო. როგორც გაზეთი ამბობს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროც გამოიღებს ფულს ამავე საგნისათვის.

⁂ 12 ოქტომბერს, მეცხრე განყოფილებაში, დილის ცხრა საათზე, ვორონცოვის ნომრებში, თავი მოიკლა რევოლვერით კავკასიის მსროლელთა ბატალიონის კაპიტანმა პანკოვმა. ტყვია მარჯვენა საფეთქელში აქვს მოხვედრილი. გამოძიება სწარმოებს.

## ᲛᲝᲑᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲛᲐᲗ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ, ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲠᲘᲪᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲔᲑᲘᲡᲐ.

(მოწერილი ამბავი)

გულითა და სულით უნდა გვეხაროდეს, რომ მთიელებიც შეიქმნენ ღირსნი ნახვისა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობათა. აფხაზეთსა და სამურზაყანოელებს ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ოდესმე შეიქმნებიან გაბედნიერებულნი ხელმწიფე იმპერატორისა და მის უდიდებულესობის სახლობის მობრძანებით. უმეტეს ბედნიერებად უფრო ის მიიჩნიეს აფხაზებმა და სამურზაყანოელებმა, რომ, მხედრობის მაგიერად, ისინი ამოარჩიეს დასაცველად უმაღლესის სტუმრებისა. ბევრნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სოხუმში იქნება ყრილობა ხელმწიფის დასახვედრად ამორჩეულებისაო, მაგრამ ბოლოს გამოეცხადათ, რომ ახალ ათონის მონასტერში მიჰგვებოდნენ.

1840 წელს განსვენებულმა ნიკოლოზ ხელმწიფემ უბოძა სამურზაყანოელებს წმინდის გიორგის დროშა ერთგულებისათვის და ამ დროშით ისურვეს სამურზაყანოელებმა შეგებება ხელმწიფისა. ცოტა გაწყდა, კინაღამ დაუშალეს ამ გვარი მიგებება, მაგრამ გაგზავნილს დეპეშას მთავარ-მმართებელმა პატივი სცა და ნება მისცა დროშით დახვედროდნენ ათონის მონასტერში.

24 რიცხვი წარსულის ენკენისთვისა მუდამ დაუვიწყარი დარჩება აქაურ მცხოვრებელთათვის, რადგანაც იმ დღეს ეღირსნენ ხელმწიფის და მისის უდიდებულესობის სახლობის ნახვასა. დღე იყო მშვენიერი, მოწმენდილი, ჰაერი თბილი; ზღვამაც თითქო მიჰბაძა ბუნების დამშვიდებასა და წყნარის დუმილით ეჩურჩულებოდა დედამიწას.

თქმა არ უნდა, რომ მშვენივრად და დიდებულად მორთეს ბერებმა თავიანთი მონასტერი. სხვა-და-სხვა გვარ ფარჩებით, ყვავილებით და მწვანით იყო შემკული მთელი ის ალაგები, სადაც უნდა გაევლოთ ხელმწიფეს და მის სახლობას და სადაც-კი მისწვდებოდა მათი ბედნიერი თვალი. თითქმის დილის ათის საათიდგან ყველანი ეშურებოდნენ, რომ თავ-თავისი ადგილი დაეჭირათ. ნავთ-სადგურის მარჯვნივ პურ-მარილით დაიჭირეს ალაგი თავდა პირველად სოხუმის დეპუტატებმა. შემდეგ იდგნენ დეპუტატები აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურებისა, შემდეგ გლეხებისა და დასასრულ იდგნენ ისინი, რომელნიც იყვნენ ამორჩეულნი სამურზაყანოს დროშის მხლებელად. მარცხნივ იდგნენ პირველად აქაური უფროსი და რამდენიმე სოხუმელი ქალი, ხოლო შემდეგ—თავად-აზნაურთა ქალები ნაციონალურის ტანსაცმელებით.

ათი წამი აკლდა თორმეტს საათს, როდესაც ამობრძანდნენ ნავთ-სადგურის ბაქანზედ პირველად ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, შემდეგ—მემკვიდრე ცესარევიჩი ნიკოლოოზ და დიდი მთავარი გეორგი ალექსანდრეს ძე და ბოლოს მათი ამალა. იმპერატორმა წინაპირველად მიიღო პურ-მარილი სოხუმის დეპუტატებისაგან და მადლობა გადუხადა მხიარულის სახით; შემდეგ მიბრძანდა თავად-აზნაურების დეპუტატებთან და მიიღო პურ-მარილი გენერალ-მაიორ თ. ზურაბ ჩხოტუას ხელისაგან. ამ გენერალს გვერდზედ უდგა მეორე გენერალი თავადი გრიგოლ შარვაშიძე, რომელიც შეიქმნა ბედნიერი და შემდეგი სიტყვა მოახსენა მათ უდიდებულესობათა:

„თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ! მთელი კავკასია გაბედნიერებულია, რომ შენა გხედავს, მაგრამ ყველაზედ მეტად ჩვენ ვართ ბედნიერნი, იმიტომ რომ თავდა პირველად ჩვენ ვეღირსენით შენს ნახვას, ხელმწიფეო! გახარებულნი იმით, რომ პირისპირ ვხედავთ თქვენს უდიდებულესობას, თავად-აზნაურნი სოხუმის არე-მარესანი პურ-მარილთან ერთად მზად არიან მოგიძღვნან თავისი სიცოცხლეცა და ქონებაცა!“

ამას შემდეგ ხელმწიფე მიუახლოვდა დეპუტატს, რომელიც პურ-მარილით იდგა. დეპუტატმა მოახსენა მის უდიდებულესობას შემდეგი:

„მოგილოცავთ მობრძანებასა, თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, და უუმდაბლესად გთხოვთ შეიწყნაროთ ერთგული უქვეშევრდომილესი გრძნობა არა იმათი მხოლოდ, ვისაც არასოდეს ფიქრად არ მოსვლია ორ გულობა, არამედ იმათიც, ვისაც, ჩვენდა საუბედუროდ, შეაჩნდა ღალატი წარსულის ომის დროს“.

ხელმწიფე იმპერატრიცა უწინარეს ყოვლისა მიბრძანდა სოხუმის ქალებთან და მიიღო მათგან სალამი და ვარდის კონა, რომელიც ეჭირა აქაურის უფროსის დას. შემდეგ მიუახლოვდა თავად-აზნაურთა ქალებს. მათ შორის პირველი ალაგი ეჭირა კნეინა ალათი ელიზბარის ასულს, დადიანის ქალს, შარვაშიძის მეუღლეს. კნეინა ალათი შარვაშიძისამ ვარდის კონა მიართვა, მიულოცა ხელმწიფეს მობრძანება მისი აფხაზეთში და მოახსენა შემდეგი:

„თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ! მე ამირჩიეს სამურზაყანოსა და აფხაზეთის ქალებმა უუმდაბლესად მოგახსენოთ, რომ თქვენისა და თქვენის სამეუფო სახლობის მობრძანებით გაბედნიერებულია მთელი ჩვენი ქვეყანა. ვევედრებით ღმერთსა, რომ სიმრთელე და სიცოცხლე თქვენი დაიცვას უფალმან მრავალსა წელსა!“

იმპერატრიცამა და აგრეთვე იმპერატორმა მადლობა გადუხადეს და ნიშნად წყალობისა ხელი გაუწოდეს კნეინა შარვაშიძისას. თითონ იმპერატრიცა მხიარულის ღიმილით არა ერთ გზის მიუახლოვდა დამწკრივებულს ქალებსა და ძრიელ ესიამოვნა მათი ნაციონალური ტანისამოსი. «რა კარგია, რა მშვენიერიაო!» ამ სიტყვებით თვალს ავლებდა იმპერატრიცა მათ ჩაცმა-დახურვას. ეს დაუვიწყებელი სიტყვები საუკუნოდ შთაბეჭდება გაბედნიერებულის ქალების გულს. აფხაზ ქალებს მუდამ ეხსომებათ ბრწყინვალე და მოღიმარე სახე რუსეთის იმპერატრიცისა. მხოლოდ მან ნახა პირველად ჩვენი ქვეყანა. დიდი ყურადღება მიაქცია ხელმწიფემ სამურზაყანოელების დროშას. ჰკითხა იქვე მდგომთა: „სად, როდის და ვისგან არის ბოძებული ეს დროშაო?“ პასუხი ამისი მოახსენა გენერალ-მაიორმა თ. ერისთავმა. სიამოვნებით დაჰხედა ხელმწიფემ ყველ ას, ვისაც ჰქონდა გულზედ წმ. გიორგის ჯვარი და ან სხვა ნიშანი.

შემდეგ ამისა მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი გაემართნენ ეკკლესიისაკენ. აქ დახვდა მათ სოხუმის ეპარხიის ეპისკოპოსი გენნადი, დეკანოზი დავით მაჭავარიანი, წინამძღვარნი ახალ ათონისა და დრანდის მონასტრებისანი იერონი და ხარლამპი და სხვა სასულიერო კაცნი. პარაკლისს შემდეგ მღვდელ-მთავარმა გენნადიმ მოახსენა შესხმა:

„უკეთილ-მსახურესო ხელმწიფეო! საღმრთო წერილი ბრძანებს: „ნათლით მოსილსა სახესა შინა მეფისასა იჭვრიტების ცხოვრება, ხოლო წყალობა მისი, ვითარცა ღრუბელი მცხვედი წვიმითა“. ჩვენ მცხოვრებთათვის განშორებულის, მცირედ დასახლებულის, სანახევროდ გაველურებულის მხარისა, იყო დიდ ნუგეშად იგიცა, რომელ მხარესა ჩვენსა არა ერთ გზის განუცდია და უხილავს ნიში შენისა მისდამი წყალობისა, შენისა მამობრივისა ზრუნვისა მისთა გაჭირვებათა შინა სულიერად და ნივთიერად! აჰა! შენ წყალობით ღირს გვყავ ჰხილვად სახისა შენისა, ესეცა კვალად მცირე არს. ჩვენ ბედნიერნი ვართ ხილვით ერთად შენთანა უავგუსტოესის დედოფლისა, მამულისა დედისა, შენისა საყვარლისა პირმშოისა, რუსეთის მამულის სასოებისა და მეორისაცა საყვარელისა შვილისა შენისასა. კურთხეულმცა არს მოსვლა შენი! ადგილი ესე ოდესმე განათლებული წმინდის პირველ-წოდებულის მოციქულისა მიერ, მორწყულ იქმნა მეორე მოციქულისა სიმონ კანანელისა სისხლითა. მოხედე მას მოწყალე მეფურის თვალითა, რათა იცხოვროს და ჰყვაოდეს ესე სულიერად მთელმარე მხარე თბილის შარავანდედითა შენისა მნათობისა სახისათა. გვეყავნ კეთილ მნებებლობა და წყალობა შენი, ვითარცა ქველ-მოქმედევანი ღრუბელი მადლიერ მცხვედ წვიმად!“

ეკკლესიიდგან ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა წაბძანდნენ ეტლით მახლობელს გორაზედ, სადაც თითონ იმპერატორმა თავისის ხელით დასდვა ქვა აღსაშენებლად ახლის ტაძრისა წმ. პანტელეიმონის სახელზედ. აქედგან იმპერატორი ფეხით მიბრძანდა სიმონ კანანელის მონასტრამდის. ხოლო იმპერატრიცა ეტლით შეეგება. ბუნების მშვენიერებამა და სხვა-და-სხვა მორთულობამ ამ ალაგისამ დიდად ასიამოვნა სამეუფო სტუმრებსა და დიდხანს ბაასობდნენ ამ საგანზედ, როდესაც იგინი შემობრძანდნენ ყოვლად სამღვდელო გენნადის სადგურში საუზმის მისართმევად. ამ სადგურში დახვდა მათ დეკანოზი მაჭავარიანი. იმპერატორი და იმპერატრიცა რამდენსამე ხანს ესაუბრნენ გაბედნიერებულს დეკანოზსა და ნიშნად წყალობისა ხელიც მისცეს სამთხვევად. ორივე წინამძღვარნი გაბედნიერდნენ მათ უდიდებულესობათა ყურადღებით, მაგრამ ყველაზედ ბედნიერი იყო იმ შესანიშნავ დღეს ეპისკოპოსი გენნადი, რადგანაც მას შეხვდა, ვითარცა პირველ რუსის არქიელს აფხაზეთისას, მისალმებოდა უუმაღლესს სტუმრებს. დიდად ესიამოვნა იმპერატრიცას, როდესაც მიართვა მშვენიერი ლიმონის შტო რამდენისამე შესანიშნავის ლიმონით. მონასტრის შეგირდებიც არ მოაკლდნენ ბედნიერებასა, რადგანაც მათს გალობას ყური ათხოვა იმპერატორმა. გამოსალმების დროს იმპერატორმა და იმპერატრიცამ მხიარულის სახით დაათვალიერეს მთელი საზოგადოება და უბრძანეს მადლობა სასოებითა და ალტაცებით მაყურებელს ხალხს. ბოლოს მემკვიდრე ცესარევიჩმა გააბედნიერა თავადი გრიგოლ შარვაშიძე და მიიღო მისგან საჩუქრად ჩვენებური მეტად მშვენიერად მორთული უნაგირი

ჩვენი საბრალო სოხუმი დიდს მზადებაში იყო; ეგონათ, ჩვენც გვეღირსებაო ნახვა იმპერატორისა და იმპერატრიცისაო და საღამოს ექვსის საათიდგან თითქმის ათ საათამდე გაჩაღებულ ცეცხლის ალში იყო მთელი ქალაქი.

კ. მაჭავარიანი

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ. პირველ ამ თთვეისას დილიდგანვე მთელი კახეთი საზოგადოდ და თელავი კერძოდ დიდს მზადებაში იყო. თელავის შესავალი მშვენივრად მორთეს და მოკაზმეს მწვანითა და ყვავილებით; თელავის სამივე მთის ფერდობები ჩრდილოეთის მხრით ვენზელებით, ფარნებ-ბაირაღებით და ჩირაღდნებით მორთეს; ამავე ფერდობებზე ხალხის დასადგომად წინადვე იყო გაკეთებული ბილიკ-ბილიკად გაყვანილი გზები. მთელის ქალაქის მკვიდრ-

ნი და კახელნი ამ დღე მიისწრაფებოდნენ ტფილის-კახეთის გზისაკენ შესაფერის ადგილის დასაჭერად.

გადავიდა შუადღე, ხალხი დალაგდა გზის ორსავე მხარეს და გული უცემდა და თვალი მიპყრობილი ჰქონდა იქითკენ, საიდგანაც უავგუსტოესს სტუმრებს მოელოდა. აგერ შესრულდა 5 საათის თხუთმეტი წუთი და თელავის ნაპირიდგან მოისმა შეუწყვეტელი „ურას“ ძახილი და ამან ხალხს აცნობა, რომ მოახლოვდნენ მათნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის სახლობითა და ბრწყინვალე ამალით. თელავის მკვიდრნიც შეუერთდნენ პირველებს და ზურნა-დაფისა და «ურას» ძახილით მიესალმნენ მათ უდიდებულესობათა და მათ უმაღლესობათა. მათნი უდიდებულესობანი თავ-ახდილს ეტლში ბძანდებოდნენ და უმაღლესის სალამით გააბედნიერეს ხალხი. იმ დღესვე ხელმწიფე იმპერატორი უავგუსტოესის სახლობითურთ წაბძანდა სოფ. წინანდალს. ღამე თელავი კვლავ იყო განათებული.

ორ-ს ამ თთვეს უმაღლესნი სტუმარნი წინანდალს ბძანდებოდნენ. თელავიდგან, თუ სხვა კახეთის სოფლებიდგან მრავალი ხალხი მოაწყდა წინანდალს. მათმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და დაესწრო წირვას ადგილობრივს ეკკლესიაში. სალამოზედ განაპირი თელავისა — ნადიკვარი ჩირალდნებითა და სხვა-და-სხვა სანთლებით იყო გაჩაღებული. 3-ს ხელმწიფე იმპერატორი უავგუსტოესის სახლობით წაბძანდა სიღნაღის მაზრაში. 5-ს თელავი კვლავ მოელოდა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ.

დადგა 5 ოქტომბერიც. ცა მოიკუშმა, საშინლად იწურებოდა, მაგრამ ამ უამინდობამ ვერ დასძლია სიხარულით გატაცებული ხალხი. სობოროს გალავანი და მთლად ის ქუჩანი, სადაც უნდა გაევლოთ უავგუსტოეს სტუმართა, გაივსო ხალხით. აგერ შესრულდა 9 საათი და მობძანდნენ უავგუსტოესნი სტუმარნი პირდაპირ სობოროში, სადაც წყობით იდგნენ თავად-აზნაურნი, ადგილობრივის სასწავლებლების მოსწავლენი, ყველა უწყებათა მოსამსახურენი და აგრეთვე მოქალაქენი. გადმობძანდა თუ არა ეტლიდგან ხელმწიფე იმპერატორი, ქალაქის წარმომადგენელმა დეპუტატმა მიართვა პურმარილი და მცირედი სიტყვა მოახსენა: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო! ვიხრით რა ქედსა წინაშე თქვენის უდიდებულესობისა, ვუცხადებთ განუსაზღვრელს სიყვარულსა და ერთგულებას თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობასა და გევედრებით, თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, თელავის მცხოვრებთა სახელით პურმარილითა და მოგილოცავთ კეთილად მობძანებას უავგუსტოესის სახლობითურთ“. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიიღო პურ-მარილი და მოწყალედ ბძანა: „გულითადად ემადლობ თელავის მცხოვრებთ“. პურმარილის მიღების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა სახლობითურთ მიბძანდნენ სობოროში, სადაც ალავერდის ეპისკოპოზი ბესარიონი კრებულითურთ მიეგება შემდეგის სიტყვით:

„უკეთილ-მსახურესო ხელმწიფეო.

განსცხრებოდე კახეთო და იხარებდე თელავო. აღესილი ღრმა განზრახვათა მოვალს შენდა დღეს მეფე ჩვენი სახლობით. ვიხარებთ, ყოვლის სულით ვდღესასწაულობთ და მადლობით ვაქებთ ღმერთსა; ვსჭვრეტთ რა ბრწყინვალე სიმშვენიერეს პირისას შენისასა, ვხედავთ მას შინა უმაღლესსა და უსაზღვრო სიკეთესა სულისა შენისასა. ვგრძნობთ ღრმად და გარდამატებით უმაღლესად ვაფასებთ თქვენთა მეფურ მოწყალებათა და სიუხვეთა. მხურვალედ და სიწრფოებით სამეფო ტახტის გულითად მორჩილებისა გმადლობთ ჩვენს მხარეზედ მოფენილ ნიჭთა და ქველის მოქმედებათათვის. გარნა მასთანავე ხელ-ახლად ვიქონიებთ სასოებასა, რომელ არ მოაკლდება და არცა მოუძლურდება, არამედ უმეტეს განმრავლდება და გავრცელდება წყარო თქვენთა მოწყალებათა ამ მხარის მცხოვრებთა ზედა. მოვედ, მეფეო ჩვენო, მოვედ დიდებაო ჩვენო, მოვედ დედოფალო ჩვენო, მოვედ სასოებაო ჩვენო. ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ, კეთილ-მორწმუნენო ძენო და ასულნო კახეთისანო. ჩვენ წინაშე სდგას ღვთივ გვირგვინოსანი მეფე ჩვენი სახლობით — ცხებული ქრისტესი“.

შემდეგ ყოვლად სამღვდელო წარუძღვა ჯვარით და გადიხადა მცირე ლიტია მრავალ-ჟამიერის წარმოთქმით. შემდგომ ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა ვერცხლის მოოქროვილი ხატები მიართვა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა. ხელმწიფე იმპერატორს მიართო მაცხოვრის ხატი, ხელმწიფე იმპერატრიცას — ხატი ღვთისმშობლისა, მემკვიდრეს — ხატი წმინდის ნიკოლოზისა და დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს — ხატი წმიდა მთავარ-მოწამისა გიორგისა.

ეკკლესიაში სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა ხორო გალობდა. პარაკლისის გადახდის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი უავგუსტოესის სახლობითურთ მიბძანდნენ წმ. ნინოს სასწავლებელში. აქ შესავალში ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვეს ყვავილის კონები. მოსწავლეთა იგალობეს საერო იამბიკო და მიართვეს თავისის ხელით ოქრომკედით ქსოვილი პატარა ხალი. წმ. ნინოს დათვალიერების შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ჩაბძანდნენ ეტლში და თიანეთს წაბძანდნენ.

ი. კახელი

---

**სოფ. ველის-ციხე** (კახეთი), 3 სექტემბერს. ჩვენს სოფელსაც ეღირსა ბედნიერება და იხილა თავისი საყვარელი ხელმწიფე იმპერატორი, ხელწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. ამ ბედნიერებას ველისციხელები, როგორც მოგვეხერხებოდა, ისე მივეგებენით.

მშვენიერი დღე გახლდათ. ბრწყინვალე მზე უხვად აფრქვევდა თავისს მხურვალე სხივებს მთელის კახეთის ველს და ჩვეულებრივად ათბობდა და ათასს ფრად აბჭყვრიალებდა ამ თვალს ჩვენის ქვეყნისას. დილითვე ხალხი გაიკრიბა სოფლიდგან და დამწკრივდა მუკუზანის გზატკეცილის სადგურთან — იქ, სადაც ორხოებით დაფენილი ალაგი იყო მორთული ლიმონის ხეებით, მსხმოიარე ვაზების ხეივნებით და სხვა-და-სხვა ყვავილებით. სულ თავში იდგა თავად-აზნაურობა, ქალი და კაცი. შემდეგ დამწკრივებულნი იყვნენ აქაურის ორ-კლასიანის სკოლის მოწაფენი ერთ ნაირს ტანისამოსში და სომეხთ საქალებო სკოლის მოწაფენი აგრეთვე ერთნაირს ტანისამოსში. დანარჩენი ადგილი ეჭირა გლეხობას. სწორედ ოთხს საათზე მოგრიალდა მუკუზნის სადგურთან მათ უდიდებულესობათა ეტლი და მოაბრძანა უძვირფასესნი სტუმარნი. მობრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი თუ არა, ბედნიერის თვალით ინახულეს მთელის ხალხის მწკრივი. აქ ხელმწიფე იმპერატორს დაუხვდა ხელში პურ-მარილით ქართულად მშვენიერად ჩაცმული ველის-ციხის მამასახლისი; ხელმწიფე იმპერატრიცას მოართვა ხილი ძვირფასად ქართულად მორთულმა კნეინა თამარ ჯანდიერისამ შემდეგის სიტყვით: „კახეთი ითვლება ბედნიერ ქვეყანად და თქვენის მობრძანების ჟამს ის კიდევ უფრო ბედნიერია“. მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცამ გააბედნიერა კნ. თ. ჯანდიერისა ხილის მიღებით და ხანგრძლივის ლაპარაკით. წაბრძანების დროს ხელმწიფე იმპერატრიცამ გაუწოდა კნ. თ. ჯანდიერისას ხელი, და კნ. თ. ჯანდიერისა დიდის მოწიწებით ეამბორა. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ უავგუსტოესის სახლობითურთ ჩაუარეს ამ ხალხის მწკრივს ბოლომდე. შემდეგ ჩაბრძანდნენ თავ-ახდილს ეტლში და აქეთ-იქით სალამს აძლევდნენ ბედნიერებით აღვსილს ხალხს, რომელმაც „ურას“ ძახილით გააცილა მათნი უდიდებულესობანი.

---

# რუსეთი

გაზეთი „Petersburger Herald“-ი ამბობს, რომ გზათა სამინისტრომ სრულიად აღკრძალა რკინის გზის ვაგონებში ქაღალდისა და ბანქოს თამაში. ვინც ამ კანონს არ აასრულებს, იმას სამართალში მისცემენო.

— ამ წლიდგან ხარკოვის სავეტერინარო ინსტიტუტში სწავლის ფასი მოუმატებიათ. ეხლა თითოეულმა სტუდენტმა, 40 მან. მაგიერ, 50 მან. უნდა შეიტანოს.

— საფრანგეთის აკადემია დასთანხმდა ოდესის ექიმ გამალეის სურვილზე, რომელიც სწერდა, რომ მე ამიცერით ხოლერის შხამიო.

— სახელმწიფო საბჭო ამ ახლო ხანებში მოისმენს პროექტს იმის თაობაზედ, თუ როგორ გაიმართოს ბესარაბიაში ღვინის მოყვანისა და დაყენების სასწავლებელი.

— ს.-პეტერბურგში ნება დაურთავსთ გამოიცეს ახალი მოდის ჟურნალი. ამ ჟურნალს ეწოდება „Модистка“.

— ამ დღეებში კიევს მისულა სირიიდგან ორი არაბი: ერთი მთავარი და მეორე ბერი. მთავარი შედის სასულიერო აკადემიაში და უნდა აღიზარდოს ანტიოქელ პატრიარქის ხარჯზედ, ხოლო ბერი-კი სასულიერო სემინარიაში აპირებს შესვლას. ამის აღსაზრდელად პალესტინის მართლმადიდებელ საზოგადოების მიერ გადადებულია ფული. მეორე ორს არაბს, რომელნიც წარსულს წელს ჩამოვიდნენ და სემინარიაში დაიწყეს სწავლა, რუსული ლაპარაკი უკვე შეუსწავლიათ და ეხლაც იქ არიან. ამ ახლად ჩამოსულებმა-კი ერთი სიტყვაც არ იციან რუსული.

— ვოლინის გუბერნიიდგან შემდეგს სამწუხარო ამბავსა სწერენ გაზ. „Волынь“-ს: 21 აგვისტოს სახლში დაბრუნდა რომელღაც კრებიდგან ს. ბოლოტნიცის ახალგაზდა გლეხი, ახლად ჯვარ-დაწერილი. ამ კაცმა კრებაზედ შემთხვევით გაიგონა თურმე ძაგება თავისის ცოლისა, რომელიც, მოლაპარაკეთა აზრით, ვითომ ცუდის ყოფა-ქცევისა იყო. გაჯავრებულმა კაცმა წამოავლო ცულს ხელი, დაჰკრა თავისს ცოლს მაშინ, როცა იგი ყმაწვილს აბანავებდა თავ-ჩაღუნული, და იქვე თავი გააგდებინა. ამასობაში კრებაზედ ნალაპარაკევი ჭორი აღმოჩნდა.

— ნოვოროსიაში იქაურს მომრიგებელ-მოსამართლეს ამას წინად ერთი სასაცილო ჯარიმა დაუდგენია. სამართალში მიცემული ყოფილა მოვაჭრე-ებრაელი გერშკო შ., რომელსაც ის ბრალი ედებოდა თურმე, რომ აღდგომა დღეს დუქანი გაეღო და ევაჭრნა. ადგილობრივს პოლიციას მიუქცევია ამისათვის ყურადღება და სამართალში მიუცია წესდების მე 36 მუხ. ძალით, ხოლო მომრიგებელ-მოსამართლეს, გერმანელს, მდიდარის ებრაელისათვის ჯარიმად შეუწერია... ერთი კაპიკი. ამ გვარმა გარდაწყვეტილებამ მომრიგებელ-მოსამართლისამ ადგილობრივნი მკვიდრნიააყაყანა თურმე.

— ოდესის ებრაელთა სასაფლაოზედ ამას წინად შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა: ახლად დასაფლავებული მკვდარი ამოუთხრიათ, გაუძარცვავთ და ტალახში ჩაუგდიათ. რამ ჩაადენინა ეს ავაზაკებს, შურმა თუ ავკაცობამ, არავინ იცის და კვალი ამის ჩამდენელისა ჯერ ვერ მიუგნიათ. ოდესის ებრაელნი ამ ამბის გამო ძალიან შეწუხებულნი არიან თურმე

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ჯერ ოფიციალური ანგარიში არ დაბეჭდილა გაზეთებში იმისი, რაც მოხდა პალატაში 3 ოქტომბერს, როცა ფლოკემ შეიტანა თავისი კანონ-პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვის თაობაზე. ჯერ-ჯერობით მხოლოდ „Indépendance Belge“-შია მოკლე ანგარიში კრებისა. როცა ფლოკემ ლაპარაკი დაიწყო, პალატაში დიდი მდუმარება ჩამოვარდა. დეპუტატები ყველანი ივსნენ. ბულანჟე ლაგერსა და ლეგერისეს შუაში იჯდა. ფლოკემ სთქვა, რომ „როცა მინისტრად ვიქმენ ამორჩეული და როცა კომისიაში დავინიშნე წევრად, გამოვაცხადე, რომ თანავუგრძნობ კონსტიტუციის შეცვლის საქმეს-მეთქი. ამას გარდა მაშინვე ვიტყოდი მოვალეობას, რომ როცა-კი მოხერხებული დრო ჩამივარდება ხელში, კანონ-პროექტს წარუდგენ პალატასა-მეთქი. ახლა ვასრულებ ჩემს დაპირებას, ვსთხოვ პალატას გადასინჯოს კონსტიტუცია, შედგენილი 1875 წ., ვსთხოვ იმ აზრით, რომ ბოლო მოეღოს რეაქციის მომხრეთა ქვეშ-ქვეშობასა და ცეზარიზმის ქვემძრობას. ჩვენის კონსტიტუციის კანონები ისეთია, რომ მეორე დღესვე, როცა დაწესდა კონსტიტუცია, რესპუბლიკელთა უმრავლესობამ გამოაცხადა, ეგ კანონები დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგებაო. ჯერ ისევ 1882 წ. გამბეტა სთხოვდა პალატას, გადასინჯეთ კონსტიტუციაო; ფერრის კაბინეტიც სცდილობდა ამ საქმეს, მაგრამ ვერ მოახერხა. საჭიროა გარიგდეს რამე, რომ დაკმაყოფილდეს ერი. ცეზარიზმის მომხრენი ძალიან ხერხიანად იქცევიან. იმათ დაიჩემეს ის, რაც ჩვენ, რესპუბლიკელებს, გვინდა. ამ სახით გადიბირეს ერთი წილი გულწრფელ რესპუბლიკელთა. მტრები რესპუბლიკისა თამამად ლაპარაკობენ, რომ ჩვენ გვინდა შევსცვალოთ კონსტიტუცია, გვსურს გადავსინჯოთ მისი კანონებიო. ამისთანა ყოფაში მთავრობა რესპუბლიკისა მოვალეა შეიტყოს ნამდვილი სურვილი ერისა და მოარიგოს დას-დასად განყოფილნი რესპუბლიკელნი იმის გამო, დროა მართლა თუ არა, რომ შეიცვალოს კონსტიტუცია. აი რას ამბობდა ამავე საგნის გამო, სხვათა შორის, დიდი მოსარჩლე თავისუფლებისა ტოკვილი 1851 წელს, როცა მან წარადგინა მოხსენება კონსტიტუციის გადასინჯვის საჭიროებაზე: „საშიშად ისაო, — სწერდა მაშინ ტოკვილი, — რომ არ ვარგა და უკანონობაც არის დაუმორჩილოს მთავრობა ნება ერისას, მაგრამ საშიშად არც ის არის კეთილ-გონიერება, რომ უთუოდ ეწინააღმდეგებოდე ერის სურვილს. საჭიროა ყური ათხოვო ქვეყნის სურვილს, რათა მან სხვა მეთაურს კარებს არ დაუწყოს ძებნაო“. ის სამინისტრო, რომელიც მოწოდებულია რესპუბლიკის ინტერესების დასაცველად, ვერ დაადგება პოლიტიკას უმრავლეს ყოვნისასა და ჟიუტობისას. დაბრმავებულები არიან ისინი, ვისაც ბრძნად დაუსახავთ თავი და ჰგონიათ, რომ უნდა ვეწინააღმდეგოთ იმ ღონისძიებას, რომლისაგანაც უმრავლესობა ხსნას მოელოდინებს; სამინისტრო ვერ მოიქცევა ასე, მან უნდა შეუსრულოს ერს სურვილი და არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ სიკეთეს მიანიჭებენ ქვეყანას მომხრენი დიქტატორისა, ანუ ტახტის მაძიებლისანი. საჭიროა ფარ-ხმალი წავართვათ იმათ და ჩვენ დავასწროთ ის კეთილი საქმე, რომელიც მხოლოდ ენაზე აკერიათ, და თუ ჰპირდებიან ვისმე, მოსატყუებლად ჰპირდებიან. აი ამიტომ წარმოადგინა დღეს თქვენ წინაშე სამინისტრომ თავისი კანონ-პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვისა. ჩვენ საერო კრების წინააღმდეგი არა გვაქვს-რა. ვფიქრობთ მხოლოდ, რომ ორივე პალატის უმრავლესობას შეუძლიან მოარიგოს და მთავრობა მხოლოდ შეაკავოს იყოლიოს კონსტიტუციის მერვე მუხლი, რომლის ძალითაც აღკრძალულია სჯა და გამორჩევა სხვა გვარის მართვის წესისა, კვლავ ძალაში დარჩება. სამინისტრო ჰფიქრობს, რომ რესპუბლიკა არც მაღლა სდგას და არც დაბლა სდგას საყოველთაო კენჭის ყრის დაწესებულებაზედ. რესპუბლიკას მხოლოდ საჭირო ფორმა მისი. მთავრობა მზად არის მხარი მისცეს ყოველ გვარს სარჩიელს, თუ რომ-კი ამ სარჩიელს საგნად ჰქონდეს უფრო მეტად განამტკიცოს საძირკველი რესპუბლიკისა და უფრო ადვილად დაამხოს მისნი მებრძოლნი. მზაა აგრეთვე ყოველის ღონით ეწინააღმდეგოს სეპარატისტო მოძღვრებასა, რომელმაც დიდს განსაცდელში ჩააგდო ქვეყანა რამდენჯერმე და კინაღამ არ დაჰღუპა ჩვენი სამშობლო. ერი ჰგვიროობს, რომ საკანონ-მდებლო მოქმედება შეფერხებულია და სამინისტრო კრიზისები გახშირებული. ამას სჩივის და დრტვინავს ქვეყანა. ხოლო რესპუბლიკის მტრებს ეს დრტვინვა და ჩივილი დაუხვევიათ ხელზე და სცდილობენ მომდურავს ქვეყანას მოასვიონ თავზე ტახტის-მაძიებელი, რომელიც ვითომ ყველაფერი იქნება, ან მიაჩეჩონ დიქტატორი, რომელიც ვითომ ყველაფერს შეიძლებს. აი ამ ბოროტების წინააღმდეგ გამოდის დღეს მთავრობა და მოაქვს თან თავისი კანონ-პროექტი“. შემდეგ ფლოკემ წაიკითხა თვით კანონ-პროექტი და სთხოვა პალატას, რომ იმისი განხილვა მიენდოს კომისიასაო. მემარცხენე რადიკალთა და უმწვერვალეს მემარცხენეთ ტაში დაჰკრეს, მემარცხენენი და მემარცხენე შუაგული მდუმარებდა, მემარჯვენენი წინააღმდეგობდნენ.

---

# დეპეშა

## „ივერიის“ დეპეშა.

**წიფა.** გარჯამა და მეცნიერებამ გაიმარჯვა. 12 ოქტომბერს, დილის 8 საათზედ, ბრწყინვალედ გაერთებულ იქმნა გვირაბით ამერეთი და იმერეთი. დღეს გზათა მინისტრი ადმირალი პოსიეტი აქა ბრძანდება და იმის თანადასწრებით ლხინი აქვსთ გონებისა და ხელის ნაშრომის წარმომადგენელთა. გაუმარჯოს!

### 13 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** კანონი მცირე წლოვანთა მუშაობის თაობაზედ ქარხნებში და ქალებისა და პატარა ბავშვების ღამით მუშაობის შესახებ ძალაში დატოვებულია 1890 წლის პირველ იანვრამდე.

«ჟურნალ პეტერბურგ»-ში დაბეჭდილია სტატს-სეკრეტარის გირსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა გირსის იუბილეის გამო. ამ აღწერაში დაბეჭდილია ის ცირკულიარები, რომელიც გირსს გაუგზავნია, როცა ხელმწიფე იმპერატორი ტახტზე ავიდა და ეკურთხა. ეს ცირკულიარები ამტკიცებენ, რომ რუსეთის პოლიტიკა ყოველთვის მართალი და მშვიდობიანი იყო იმ ხელმწიფის მეფობის დროს, რომელიც სტატს-სეკრეტარს გირსს ისეთსავე ნდობას უჩენს, როგორსაც განსვენებული იმპერატორი უჩენდა. ერთად-ერთი საზრუნავი გირსისა ის იყო, რომ ყოველთვის ყოფილიყო ერთგული თავისის ხელმწიფისა და, ვითარცა გამომხატველს იმისის მოწოდებისას, დაეცვა სახელი და ერთობა რუსეთისა და ხელი შეეწყო იმპერიის წარმატებისათვის ყოველის ღონის ძიებით, რაიცა ხელთ აქვს მის მიერ წარმართულს დიპლომატიას. ეს უმთავრესი ღონე პატრიოტიზმია, პატიოსნება და გულ-წრფელობა.

ესევე გაზეთი ასახელებს ახალს მახინაციას რუსეთის მოწინააღმდეგე პრესისას ერთის ვენის გაზეთის წერილის გამო, რომელიც სულთანს ტახტიდგან გადაყენებას ემუქრებოდა, თუ რომ იგი არ მიემხრობა სამთა კავშირს. ამ პრესამ გამოაცხადა, რომ ეს რუსეთის ინტრიგააო, რომელსაც საგნად აქვს სულთანს გული აუყრევინოს სამთა კავშირზე. გაზეთი ამტკიცებს ამ გვარის მოსაზრების უსაფუძვლობას და ამბობს, რომ არც ერთის ამ გვარის საშუალებით შესაძლო არ არის რუსეთს ხელი აალებინონ ერთხელვე საქვეყნოდ აღიარებულს მტკიცე, სამართლიანს და სამშვიდობო პოლიტიკაზე.

**ქუთაისი.** გუშინ, ნაშუადღევის ოთხს საათზე, მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მობძანდნენ ყარაიაზიდგან, სადაც ნადირობა იყო გამართული, ქუთაისს.

**ბელგრადი.** მიტროპოლიტმა მეფის თხოვნით გამოაცხადა ოფიციალურს გაზეთში, რომ მეფე და დედოფალი განქორწინებულნი არიანო.

---

**პეტერბურგის ბირჟა, 11 ოქტომბ.**

| | მიცემულ-ნი. მან. კ. | გამყიდვე-ლისა. მან. კ. | მყიდვე-ლისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 55 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 151 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 15 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 261½ |
| —მეორისა | — „ | — „ | 237 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
ღვანობისთვე 31 დღით არის

**14 დღე პარასკევი.** წამ. ნაზარიასი. კათოლ. ფორტუნატისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—2. მთვარე 21 დღისაა.

**15 დღე შაბათი.** ღირსთა ევთიმესი და ლუკიანესი. კათოლ. ქვრ. იადვიგისა. სომეხ. წმ. მახარობელთა მათესი, მარკოსისა, ლუკასი და იოანესი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—27, ჩადის 5—1. მთვარე 22 დღისაა.

**16 დღე კვირა.** წამ. ლონგინისა და ეფროსინესი. კათოლ. ეპ. ფლორენტინასი. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—28, ჩადის 5—0. მთვარე 23 დღისაა.

**17 დღე ორშაბათი.** ღირსთა კოსმასი და დამიანესი, აგრეთვე ანდრიასი. კათოლ. ალექსანდრესი და ვიქტორისა. სომეხ. ლონგინისა, იოსაფისა, ლაზარესი და სხვათა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43. ტფილისში მზე ამოდის 6—29, ჩადის 4—59. მთვარე 24 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადაწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ორშაბ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, №101.

---

# განცხადებანი

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ ჟურნალურის დადგენილობის ძალით 1-ლს სექტემბერს № 23, მუხ. III, 1888 წლის პირველ ნოემბრისათვის თავისს კრებაზედ დანიშნა ვაჭრობა ნარდად გაცემაზედ ქვის ეკკლესიის აშენებისა, სასწავლებლის უმთავრესის შენობის გვერდით. ამ ვაჭრობას, კანონისამებრ, უნდა მოჰყვეს სამის დღის შემდეგ განმეორებითი ვაჭრობა. ვაჭრობის დროს ნება დართულია მოცილეობა მოვაჭრეთა შორის, როგორც სიტყვიერად, აგრეთვე დაბეჭდილის განცხადებების საშუალებით. ამ შენობის ასაგებად დამტკიცებულის ხმეტისამებრ დანიშნულია საკუთრად მუშაობისათვის და სხვა და სხვა მასალებისათვის 16,443 მან. და 81 კ. ამ ფულის ანგარიშში ნარდად ამღებთ ნება აქვსთ შენობისათვის იხმარონ ძველის ტაძრისა და ძველის ციხის ქვები, სასწავლებლის შენობის მახლობლად, თანხმობით სასწავლებლის სამმართველოისა. სიტყვიერს ვაჭრობაში შემოსვლა ვისაც ჰსურსთ, ვალდებულნი არიან ვაჭრობისთვის დანიშნულს დღეს 12 საათამდე შემოიტანონ ამაზედ განცხადება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში. ამ პირთა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ორი მოწმობა—გილდისა და თავიანთ წოდებაზედ და აგრეთვე მისაღებად ნება დართული გირაოები. გირაონი, სანარდო ფულის ერთ მესამედად ღირებულნი, უნდა შეადგენდენ ან ნაღდს ფულს, ბანკის ბილეთებს და სხვა კრედიტის ქაღალდებს, ან გირაოს მოწმობებს ქალაქის მამულებზედ. გირაოს მიმცემთა რწმუნების წერილებში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ისინი მიანდობენ რწმუნებულ პირთ გირაოებს წინდად სამუშაოს ნამდვილად აღსრულებისა და ზედ დატოვებულის ფულებისა, აგრეთვე ყველა სხვა გარდასახადთა და ჯარიმათა, რომელნიც შეიძლება დაატყდეს ნარდად ამღებს ნარდად აღებულის საქმის გამო. თუ ეს ყოველივე არ იქმნა მოხსენებული, გირაოებს არ მიიღებენ.

საზოგადოდ განცხადებებს ვაჭრობაზედ უნდა დაკრული ჰქონდესთ გერბის მარკები და დაწერილი უნდა იყოს ფორმისამებრ, რომელიც თან დართული აქვს მუხ. 1909 ტ. X, ნაწ. 1. განცხადებაში უნდა აღნიშნული იყოს ფასი ასოებით დაწერილი და თან გამოცხადებული უნდა იყოს სურვილი ნარდად საქმის აღებისა ყოვლაფერში თანახმად ვაჭრობაზედ წარმოდგენილის პირობებისა, პროექტისა და სმეტისა. განცხადებები, რომლებიც ამა მოთხოვნილებათა თანახმად არ იქნება დაწერილი, ჩაითვლებიან გაუქმებულად.

ვისაც ჰსურს ნახოს პროექტი და სმეტა ამ ნარდად ასაღების საქმისა, შეუძლიანთ მიიქცენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთან ყოველ დღეს, დილით 9 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ზედამხედველთან აგრეთვე შეიძლება შეიტყონ უადვილესი საშუალება ადგილ-ზედვე წყლის შოვნისა და შენობისათვის ვარგისისა და გამოსადეგის ნანგრევ ქვების მოგროვებისა. (3—3)

---

ექიმი **რეისი** კვლავ მიიღებს

**თვალით ავადმყოფთა.**

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი ხარაზოვისა, № 3, ყოველ დილით. (4—2)

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## წიგნთ-საწყობში

**(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)**

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |

---

გამოვიდა და ისყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში

ვალიკო გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

## სახალხო კალენდარი

1889 წლისა.

**ფასი ორი შაური.**

ამ მოკლეს ხანში გამოვა იმავე გუნიას დიდი და ვრცელი „საქართველოს კალენდარი“. 10—6

---

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: ვორონცოვის ნაბერეჟნაია, მეგლის მახლობლად, კუკიის ხიდის ყურთან, ტერ-ოჰანეზოვის სახლი, № 5. (10—1)

---

**ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა**

**(Закавказская центральная справочная контора)**

შ. ვ. დავიდოვისა.

ქ. ქუთაის-ქართი განყოფილება ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც გირაო აქვს შე-ტანილი სამინისტროში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე: სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

Доз. ценз. Тифлисъ, 13-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე